ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 495

19 ოქტომბერი
"---"---------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №54-ის მიმდებარედ არსებული 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.03.009.020) ტერიტორიიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბადაგონის სახლისთვის" (ს/კ. 405293926) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №54-ის მიმდებარედ არსებული 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.03.009.020) ტერიტორიიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბადაგონის სახლისთვის" (ს/კ. 405293926) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 7 ოქტომბრის №21.1403.1559 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №54-ის მიმდებარედ არსებული 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.03.009.020) ტერიტორიიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბადაგონის სახლისთვის" (ს/კ. 405293926) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**